

№ 01/12

12.12.2023



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს

შპს „რეციკლინგის“ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით №7904 (15/08.2023) განცხადებით წარმოდგენილი ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქ. №7-ში სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და აღდგენის საწარმოს მოწყობასა და - ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშზე თქვენი №21/8775 (16/10/2023) წერილში მოცემული საკითხების/შენიშვნების გათვალისწინებით დამატებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას/დოკუმენტაციას. კერძოდ:

1. შენიშვნაზე - „დაზუსტებას საჭიროებს (3.3. ქვეთავი - ტექნოლოგიური ალტერნატივები) ინფორმაცია ნარჩენი ზეთების დისტილიზაციასთან დაკავშირებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნას სრულყოფილი ინფორმაცია ნარჩენი ზეთების დამუშავების შესახებ. ხოლო ნამუშევარი ზეთის ფილტრების გადამუშავება მიზანშეწონილად არ მიიჩნევა, ვინაიდან, ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები სახიფათო ნარჩენებს წარმოადგენენ, ხოლო პროექტში მოცემული გადამუშავების ტექნოლოგია საკმაოდ სუსტია. ასევე, არ არის მიზანშეწონილი ფილტრების ნარეცხი ზეთის ხელმეორედ გამოყენება“- რეაგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართი 1-ში (პარაგრაფი 1.1 - „ტექნოლოგიური ალტერნატივები,“ და პარაგრაფი 1.2 - „ზეთის ფილტრების გადამუშავება,“).

2. შენიშვნაზე - „წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური აღწერილობა/ინფორმაცია ნარჩენების დროებითი შენახვის პირობების შესახებ, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების, რომლებიც უნდა იმართოს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად“- რეაგირების მიზნით დაზუსტდა შესაბამისი ინფორმაცია. კერძოდ, საწარმოში დასამუშავებლად შემოტანილი სახიფათო ნარჩენების, ასევე საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა, შეფუთვა და ეტიკეტირება უნდა მოხდეს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით დამტკიცებული აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვით. გზშ-ს ანგარიშის დანართი 13.4-ში წარმოდგენილი ნარჩენების მართვის გეგმის პარაგრაფი 5.3.4-ის (წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები) შესაბამისად ნარჩენები ადგილზე მინიმალური დროის განმავლობაში უნდა დარჩეს და რაც შეიძლება სწრაფად იქნეს გატანილი დამუშავების მიზნით.

სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება შესაძლებელია სტაციონალურ საწყობში, რისთვისაც ობიექტზე გამოიყოფა სპეციალური სასაწყობე სათავსი, რომელიც მოწყობილი უნდა იქნას გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით, კერძოდ:

- სათავსის იატაკი და კედლები მოპირკეთებული უნდა იქნას კერამიკული ფილებით;
- სათავსის ჭერი შეღებილი უნდა იყოს ტენმდეგი საღებავით;
- სათავსი აღჭურვილი უნდა იქნას შემდეგი საშუალებებით:
 - გამწოვი სავენტილაციო სისტემით;
 - ხელსაბანით და ონკანით ტერიტორიის მორწყვა-მორეცხვისათვის;
 - წყალმიმღები ტრაპით.
- კარებსა და ფანჯრებზე უნდა მოეწყოს რკინის გისოსები;
- ნარჩენების განთავსებისათვის საჭიროა მოეწყოს სტელაჟები და თაროები;

• ნარჩენების განთავსება დასაშვებია მხოლოდ ჰერმეტიკულ ტარაში შეფუთულ მდგომარეობაში, რომელსაც უნდა გააჩნდეს სათანადო მარკირება. საწარმოს ტერიტორიიდან სახიფათო ნარჩენების გატანა და შემდგომი მართვა უნდა მოხდეს ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ.

ხოლო გზმ-ს ანგარიშის პარაგრაფი 4.5.1-ის (საწარმოს ნედლეულით მომარაგება) შესაბამისად ობიექტზე მდებარე ნარჩენი ზეთის შესანახი რეზერვუარები იქნება წითელი ფერის, ექნება წარწერა „ნარჩენი ზეთი“ და სადგამი ფეხები. რეზერვუარში ჩატვირთვისას მიიღება საჭირო ზომები იმისათვის, რომ არ მოხდეს მათი ზედმეტად ავსება. ნებისმიერი ავარიული შემთხვევის, გადმოსვლის, დაღვრის ან სხვა შემთხვევებში, ჩერდება ჩასხმის პროცესი და სპეციალური აბსორბენტით ხდება დაღვრილი ნარჩენი ზეთის მოწმენდა. არავითარ შემთხვევაში არ ხდება მისი შერევა მიწასთან, წყალთან, კანალიზაციასთან (ტერიტორია დაფარული იქნება მყარი საფარით. ამასთანავე ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც მაღალი იქნება ნარჩენი ზეთის დაღვრის ალბათობა, გრუნტთან შეუღწევლობა უზრუნველყოფილი იქნება ეპოქსიდური საღებავით).

რეზერვუარები განთავსებული იქნება უსაფრთხოების აუზში (შემოზღუდვაში), რომლის მოცულობა შეესაბამება რეზერვუარების ზომებს.

3. შენიშვნაზე - „ დაზუსტებას საჭიროებს წიდასაყარის მართვის საკითხი. კერძოდ, პროექტის თანახმად, დაგეგმილია წიდასაყარის მოწყობა-ექსპლუატაცია. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენების განთავსების მიზნით უნდა მოეწყოს შესაბამისი ნაგავსაყრელი ან/და ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი, რაც განსხვავებულ რეგულირებას საჭიროებს. შესაბამისად, ვინაიდან წიდა წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს, ის უნდა გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას ან/და თუ კომპანიას განსაზღვრული აქვს მისი საკუთარ ტერიტორიაზე განთავსება, უნდა მოეწყოს სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი, რომელიც საჭიროებს დამოუკიდებელ დოკუმენტში განხილვას“- რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად საწარმოში წელიწადში 249,6 ტონა ალუმინის ჯართის გადამუშავებისას მიიღება 24,96 ტ/წელ ალუმინის შემცველი პირველადი წიდა, რომლის გადამუშავების შედეგად მიიღება 12,48 ტ/წელ მეორადი წიდა

როგორც უკვე აღინიშნა ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად საწარმოს მიერ დაგეგმილია ალუმინის ჯართის პირველადი დნობით მიღებული წიდის გადამუშავება და ხელახალი გამოდნობა. მიიღება მარილშემცველი წიდა მეორადი გადადნობიდან, რომლის ქიმიური შედგენილობა (მას.%) საწარმოო პრაქტიკისა და საცნობარო ინფორმაციის [1,2] მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში 3.1.

ცხრილი 3.2. მეორადი გადადნობიდან მარილშემცველი წიდის ქიმიური შედგენილობა, მას.%

კომპონენტის დასახელება	შემცველობა, %
KCl	38-59
NaCl	11,4-34,1
CaCl ₂	3,0-4,2
MgO	6,2-7,2
Al ₂ O ₃	6,5-12,6
SiO ₂	1,8-3,5

1-Чернявский И.Я. Шлаки цветной металлургии. - Л.; Наука, 1984.-374 с.
 2- <http://www.alfametall.com.ua>

წიდა დროებით დასაწყობდება დროებითი განთავსების ობიექტზე (წიდასაყარზე), რომელიც მოეწყობა საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, სადაც ბეტონის საფარით დაიფარება 30 მ² ფართობის მოედანი, რომელიც გადაიხურება და სამი მხრიდან დაიხურება. მოედნის ირგვლივ გათვალისწინებულია ატმოსფერული წყლების შესაგროვებელი სადრენაჟო სისტემის მოწყობა, რომელიც ჩართული იქნება საწარმოს საკანალიზაციო ქსელში.

წიდა შემდგომი მართვის მიზნით როგორც სახიფათო ნარჩენი (ნარჩენის კოდი 10 03 08*) გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

4. შენიშვნაზე - „გზმ-ის ანგარიშის 4.5.2.2. ქვეთავში აღნიშნულია, რომ წუნდებული/მწყობრიდან გამოსული საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობების ტექნოლოგიური ხაზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კონვეიერი ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის. დაზუსტებას საჭიროებს რა იგულისხმება ნარჩენების ტრანსპორტირების კონვეიერში“ - რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1-ში (პარაგრაფი 1.3 - „გორგოლაჭებიანი კონვეიერის სურათი და ტექნიკური მახასიათებლები“);
5. შენიშვნაზე - „წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი ინფორმაცია ელექტრო და ელექტრო მოწყობილობების დამუშავების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილების დანართი II-ის (ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების შეგროვებისა და დასაწყობების ტექნიკური მოთხოვნები) მოთხოვნები“- რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად საწარმოს მიერ დაგეგმილია საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობებიდან მხოლოდ წუნდებული/მწყობრიდან გამოსული ტელევიზორის და კომპიუტერის გადამუშავება, რომლის დროსაც დაგული იქნება „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილების დანართი II-ის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები. დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1-ში (პარაგრაფი 1.4 - „საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობების (ტელევიზორი, კომპიუტერი) გადამუშავება“);
6. შენიშვნაზე - „გზმ-ის ანგარიშში არ არის აღწერილი ინფორმაცია ელექტრო კაბელების დემონტაჟის დანადგარის შესახებ, რაც საჭიროებს დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას“- რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1-ში (პარაგრაფი 1.5 - „ელექტროკაბელების გადამუშავება“);
7. შენიშვნაზე - „გზმ-ის ანგარიშში არ არის მითითებული ნახშირის წარმოებისას ნარჩენის კოდი, რომლისგანაც მიიღება ნარჩენი. ამასთან, ნახშირის წარმოების დანადგარის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას უფრო ვრცელი ინფორმაცია“-რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1-ში (პარაგრაფი 1.6 - „ხის ნახშირის წარმოება“);
8. შენიშვნაზე - „დაზუსტებას საჭიროებს თუ როგორ მოხდება ზეთიანი წყლის გაწმენდა, კერძოდ რა ტექნოლოგიით განხორციელდება წყლის გაწმენდა მის ხელახალ გამოყენებამდე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას სახიფათო ნარჩენების კომპონენტების რეცხვისთვის წყლის გამოყენების საკითხი, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებასთან“- რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე პარაგრაფი 1.2 - „ზეთის ფილტრების გადამუშავება.„). რომლის შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზეთის ფილტრების გადამუშავების ტექნოლოგიის შეცვლის შესახებ და ამ ტექნოლოგიის მიხედვით არ ხდება ზეთის ფილტრის კომპონენტების რეცხვა.
9. შენიშვნაზე - „დაზუსტებას საჭიროებს ცხრილში 4.5.4.1 მოცემული ინფორმაცია დასამუშავებელი თუ უკვე დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ. ხოლო ცხრილში 4.5.4.2 სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს

ფუნქციონირების შედეგად მიღებული ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას“-რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1 (პარაგრაფი 1.7-„ნარჩენების მართვა“);

10. შენიშვნაზე - „გზმ-ის ანგარიშში მოცემული ნარჩენების დამუშავების ტექნოლოგიები არ ასახავს თანამედროვე მიდგომებს და მოთხოვნებს, ხოლო ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნები არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას“ - რეგირების მიზნით განხილული იქნა ნარჩენების დამუშავების წარმოდგენილი ტექნოლოგიების ალტერნატიული ვარიანტები და შერჩეული იქნა ზეთის ფილტრების გადამუშავების ტექნოლოგია, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1 (ცხრილში 1.1 (პარაგრაფი 1.2-„ზეთის ფილტრების გადამუშავება“) და ელექტროკაბელების გადამუშავების ტექნოლოგიას დაემატა ელექტრული სადენების გადამუშავების ტექნოლოგია, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1 (პარაგრაფი 1.5 - „ელექტროკაბელების გადამუშავება“);

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნების შესაბამისად ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნების მოწყობის საკითხს, დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად საწარმოში დასამუშავებლად შემოტანილი სახიფათო ნარჩენების, ასევე საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა, შეფუთვა და ეტიკეტირება უნდა მოხდეს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით დამტკიცებული აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვით. გზმ-ს ანგარიშის დანართი 13.4-ში წრმოდგენილი ნარჩენების მართვის გეგმის პარაგრაფი 5.3.4-ის (წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები) შესაბამისად ნარჩენები ადგილზე მინიმალური დროის განმავლობაში უნდა დარჩეს და რაც შეიძლება სწრაფად იქნეს გატანილი დამუშავების მიზნით.

სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება შესაძლებელია სტაციონალურ საწყობში, რისთვისაც ობიექტზე გამოიყოფა სპეციალური სასაწყობე სათავსი, რომელიც მოწყობილი უნდა იქნას გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით, კერძოდ:

- სათავსის იატაკი და კედლები მოპირკეთებული უნდა იქნას კერამიკული ფილებით;
- სათავსის ჭერი შეღებილი უნდა იყოს ტენმედეგი საღებავით;
- სათავსი აღჭურვილი უნდა იქნას შემდეგი საშუალებებით:
 - გამწოვი სავენტილაციო სისტემით;
 - ხელსაბანით და ონკანით ტერიტორიის მორწყვა-მორეცხვისათვის;
 - წყალმიმღები ტრაპით.
- კარებსა და ფანჯრებზე უნდა მოეწყოს რკინის გისოსები;
- ნარჩენების განთავსებისათვის საჭიროა მოეწყოს სტელაჟები და თაროები;
- ნარჩენების განთავსება დასაშვებია მხოლოდ ჰერმეტიკულ ტარაში შეფუთულ მდგომარეობაში, რომელსაც უნდა გააჩნდეს სათანადო მარკირება.

საწარმოს ტერიტორიიდან სახიფათო ნარჩენების გატანა და შემდგომი მართვა უნდა მოხდეს ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ.

11. შენიშვნაზე - „გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ეხება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას, თუმცა დოკუმენტაციაში არ არის მითითებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 და 10.4 ქვეპუნქტები, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას“- რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად საწარმოს მიერ დაგეგმილია სხვადასხვა სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გადამუშავება (აღდგენა).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის მე-16 პუნქტის თანახმად „სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება“

მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, შესაბამისად ამ კოდექსის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის მე-6 პუნქტის თანახმად "მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის თანახმად „ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, რადგანაც მანქანების (ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის) ნამუშევარი ზეთების ნარჩენების გადამუშავების და შენახვის პროცესში გამოყენებული საცავის ჯამური მოცულობა 1 000 მ³-ზე ნაკლებია.

ამასთანავე, ელექტროკაბელების, ალუმინ-პოლიმერის მოსაპირკეს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის თანახმად „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა“ და 10.4 ქვეპუნქტის თანახმად „სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

თებელი ფილების (ჩამონაჭერების), წუნდებული/მწყობრიდან გამოსული საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობების (ტელევიზორი, კომპიუტერი) ნარჩენების, ალუმინის ქილების ნარჩენების გადამუშავებით მიღებული მეორადი ნედლეული (ალუმინი) სრულად გამოიყენება ალუმინის სადნობ საამქროში. ხოლო ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

რაც შეეხება ხის ნახშირის წარმოებას, ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან წარმოქმნილი (ნახერხის, ბურბუშელას, ნათალის) ნარჩენებისაგან პალეტების წარმოებას და მწყობრიდან გამოსული საბურავების ნარჩენების გადამუშავებას, არ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს გათვალისწინებულ საქმიანობას და მოცემულ შემთხვევაში იდენტიფიცირებულია და განიხილება როგორც ატმოსფერულ ჰაერში ემისიების ფონური წყარო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, „ქ. რუსთავში, შპს „რეციკლინგის“ ნარჩენების აღდგენის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება და აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის №2-1579 ბრძანებით გამოცემული იქნა 2021 წლის 18 ნოემბრის №58 სკოპინგის დასკვნა. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ამ სკოპინგის დასკვნის საფუძველზე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად მომზადებულ გზშ-ის ანგარიშს.

12. შენიშვნაზე - „გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 2.1. („საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“) სრულყოფილად არ არის განხილული გარემოსდაცვითი კანონმდებლობები,

კერძოდ არ არის მოცემული საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილება „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №324, №325, №326, №327 დადგენილებები. აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას“-რეგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1 (პარაგრაფი 1.8-„საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“).

ამასთანავე, წინამდებარე წერილზე დანართში 2 დამატებით წარმოგიდგენთ თქვენი №21/8775 (16/10/2023) წერილში მოცემული საკითხების/შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებულ „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტს“.

დანართი: 1. დამატებითი ინფორმაცია -49 გვ.

2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;

პატივისცემით,

ჰაქან იავუზ

შპს „რეციკლინგი“-ს დირექტორი

